

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა	
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - საერთაშორისო ურთიერთობები/International Relations	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	
180 (ECTS) კრედიტი	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი/Doctor of International Relations	
სწავლების ენა	
ქართული	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	
<p>საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თეორიულ-სამეცნიერო პროფილის გათვალისწინებით, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების ერთობლიობის საფუძველზე, მოამზადოს სამეცნიერო კადრები, მაღალი პროფესიული და აკადემიური პასუხისმგებლობის მქონე კვალიფიციური მკვლევარები და პრაქტიკოსები, რომლებსაც ექნებათ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს, ასევე, უახლეს მეცნიერულ მჯელობებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული განვითარების პროცესების შესახებ ფუნდამენტური ცოდნა; 2. სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდების გამოყენების აუცილებელი უნარები; 3. ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე, აღნიშნულ სფეროში, წარმატებით მოღვაწეობის შესაძლებლობა და უნარი. 	
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი	
ცოდნა და გაცნობიერება	
<p>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - სწავლებისა და კვლევის უახლესი/ინოვაციური მეთოდები და მეცნიერული შედეგების მეთოდოლოგია; - სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები; - საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული უახლესი და აქტუალური საკითხების ფუნდამენტური ცოდნა. <p>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მდგარი პრობლემების ახლებური, თანამედროვე და ორიგინალური გადაჭრის გზების ძიების აუცილებლობა; - საქართველოს როლი, ამავდროულად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ინტერესები საერთაშორისო ურთიერთობებში; - ფუნდამენტური ცოდნის მასშტაბურობა ინტერდისციპლინური ხასიათის კვლევებში. - კვლევების ინოვაციური მეთოდების სრულყოფილი ცოდნის მნიშვნელობა კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად წარმართვის ან ხელმძღვანელობისათვის. 	
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:	



- კვლევებისა და კრიტიკული აზროვნების მეშვეობით ცოდნის ინტერპრეტაცია და ახალი ცოდნის შექმნა;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლესი და აქტუალური საკითხების გენერირება და კონცეპტუალიზაცია.
- აკადემიური საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება;
- ანალიტიკური-კვლევითი სამუშაოების/პროექტების შეიმუშავება და განხორციელება;
- დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ეფექტურად გამოყენება, როგორც სამეცნიერო პუბლიკაციების, ასევე აკადემიური სწავლების პრაქტიკის მეშვეობით;
- პროფესიული სამუშაოს შესრულება სახელმწიფო, პოლიტიკურ-დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში;

დასკვნის უნარი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ეროვნული ინტერესებისა და გლობალური თანამედროვე რეჟიმების გათვალისწინებით, საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს როლისა და დანიშნულების შესახებ, არსებული მიდგომებისა და ახალი ცოდნის გენერირების საფუძველზე, რეკომენდაციებისა და ჰიპოთეზების შემუშავება და არგუმენტირება.
- ფუნდამენტურ თეორიულ ცოდნასა და კვლევის უნარებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებების კრიტიკული შეფასება, ამავდროულად პრობლემების გადაჭრის ახლებური გზების წარმოდგენა და მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.
- საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკის განვითარებისა და ცვლილებების ანალიზი, ასევე, საკვლევ თემებთან დაკავშირებით ყოველმხრივი ანალიზის შედეგად ფასეული დასკვნებისა და წინადადებების მომზადება.

კომუნიკაციის უნარი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს:

- საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების სათანადო ფორმითა და სტრუქტურით სამეცნიერო წრეების, ამავდროულად, ფართო საზოგადოების წინაშე როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით წარდგენის უნარი;
- საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე გამოსვლის და ახალი ცოდნის ეფექტური დემონსტრირების უნარი;
- საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევის საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად გატანის უნარი.
- თანყოფის პირობებში სხვების მეცნიერული ნააზრევის სწრაფი აღქმის, არსებითი ინფორმაციის ამოცნობისა და მასზე ოპერატიული რეაგირების უნარი.
- სფეროს პროფესიონალებსა და სპეციალისტებთან თეორიული დისკუსიის უნარი.

სწავლის უნარი



საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს:

- სხვადასხვა წყაროებიდან უახლესი და აქტუალური ინფორმაციის მიღების, დამუშავების, ანალიზისა და შემეცნების უნარი;
- ახალი მეცნიერული იდეების გენერირების საფუძველზე მეცნიერული თვალსაწიერისა და ცოდნის საზღვრების გაფართოების უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში ახალი ქეისების შეფასების, ასეთი ქეისების განმაპირობებელი ელემენტების მიგნების, სამომავლო ტენდენციების განსაზღვრისა და განზოგადების უნარი.

ღირებულებები

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული:

- ფლობს აკადემიურ პასუხისმგებლობას სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების წინაშე;
 - იცავს სამეცნიერო ეთიკას;
 - გამოხატავს თანამედროვე დასავლური ღირებულებების ქართულ რეალობაში დამკვიდრების სურვილსა და მზაობას;
- ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, სასწავლო და კვლევით გარემოში, პატივს სცემს პიროვნულ და პროფესიულ ფასეულობებს, ზნეობრივ სტანდარტებს.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;



	<p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p>
--	--

საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)
 პროფესორი იგორ კვესელავა 599 24 64 74; kveselava31@mail.ru ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქუჩა №19. ბ. №100.
 ასოცირებული პროფესორი ემილია ალავერდოვა 599 65 84 39; emily-78@mail.ru ფონიჭალის დასახლება, კ. №15. ბ. №36
 მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესორი გეორგ ლოჰმანი -